



## საქართველოს მთავრობის დადგენილება

N 658 2018 წლის 28 დეკემბერი ქ. თბილისი

„ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული სერტიფიკატების ფორმებისა და მათი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №430 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული სერტიფიკატების ფორმებისა და მათი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №430 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 14/01/2011, 340030000.10.003.016172) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებულ „ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული სერტიფიკატების ფორმებისა და მათი გაცემის წესში“:

1. მე-3 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „<sup>33</sup>“ ქვეპუნქტი:

„<sup>33</sup>) ვეტერინარული სერტიფიკატი ევრაზიის ეკონომიკური კავშირის <sup>2</sup>

ქვეყნებში ტრანზიტით მიმავალი და საქართველოში გადატვირთული ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისა და ცხოველის საკვებისათვის (დანართი №66).“.

2. დაემატოს თანდართული შინაარსის №66 დანართი.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი



მამუკა ბახტაძე



ვეტერინარული სერტიფიკატი  
 Veterinary Certificate  
 Ветеринарный сертификат  
 №000000

ევრაზიის ეკონომიკური კავშირის ქვეყნებში ტრანზიტით მიმავალი და საქართველოში გადატვირთული ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისა და ცხოველის საკვებისათვის  
 For products of animal origin and feeding stuffs in transit to the countries of Eurasian Economic Union and transhipped in Georgia  
 На продукцию животного происхождения и корма, следующих транзитом в страны Евразийского экономического союза и перегружаемых в Грузии

<p>1.1. ტვირთის გამგზავნის დასახელება და მისამართი/Name and address of consignor/Название и адрес грузоотправителя:</p>	<p>1.4. სერტიფიკატის №/Certificate №/Сертификат №:</p>	
<p>1.2. ტვირთის მიმღების დასახელება და მისამართი/Name and address of consignee/Название и адрес грузополучателя:</p>	<p>ვეტერინარული სერტიფიკატი ევრაზიის ეკონომიკური კავშირის ქვეყნებში ტრანზიტით მიმავალი და საქართველოში გადატვირთული ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისა და ცხოველის საკვებისათვის                  Veterinary Certificate for products of animal origin and feeding stuffs in transit to the countries of Eurasian Economic Union and transhipped in Georgia                  Ветеринарный сертификат на продукцию животного происхождения и корма, следующих транзитом в страны Евразийского экономического союза и перегружаемых в Грузии</p>	
	<p>1.5. წარმოშობის ქვეყანა/Country of origin/ Страна происхождения                  პროდუქციის:</p>	<p>1.6. სერტიფიკატის გამცემი ქვეყანა/Certifying country /Страна, выдавшая сертификат:</p>
<p>1.3. ტრანსპორტის სახეობა/Means of transport/Вид транспорта:                  ა) იმ ვაგონის, ავტოტრანსპორტის, კონტეინერის, თვითმფრინავის რეისის №, გემის დასახელება, რომლითაც ტვირთი ქვეყანაში შემოვიდა/ a) the number of the railway carriage, truck, container, flight-number, name of the ship in which the goods have arrived/ ა) № вагона, автомашины, контейнера, рейс самолета, название судна, в котором груз прибыл в страну перегрузки:</p>	<p>1.7. კომპეტენტური ორგანო/Competent authority/Компетентное ведомство:</p>	
	<p>1.8. სერტიფიკატის გამცემი ორგანო/Authority issuing this certificate/ Учреждение, выдавшее сертификат :</p>	

<p>ბ) იმ ვაგონის, ავტოტრანსპორტის, კონტეინერის, თვითმფრინავის რეისის №, გემის დასახელება, რომელშიც ტვირთი გადაიტვირთა/ b) the number of the railway carriage, truck, container, flight-number, name of the ship to which the goods have been transhipped/б) № вагона, автомашины, контейнера, рейс самолета, название судна, на которое товар был перегружен:</p>	<p>1.9. გადატვირთვის ქვეყანაში შემოსვლის თარიღი/ Date of arrival to the country of transshipment / Дата прибытия товара в страну перегрузки:</p>	<p>1.10. გადატვირთვის თარიღი/ Date of transshipment/Дата перегрузки:</p>
---	--	--

**2. საქონლის აღწერილობა/Identification of the goods/Идентификация продукции**

- 2.1. ექსპორტირებული ქვეყნის სერტიფიკატი (№,თარიღი)/Certificate of exporting country (№, date)/Сертификат страны-экспортера (№, дата)
- 2.2. ტვირთის დასახელება/Name of the product /Наименование продукции \_\_\_\_\_
- 2.3. შეფუთვების რაოდენობა/Number of packages/Количество упаковок \_\_\_\_\_
- 2.4. წონა ნეტო (კგ)/Net weight (kg)/Вес нетто (кг) \_\_\_\_\_
- 2.5. მარკირება/Identification marks/Маркировка \_\_\_\_\_
- 2.6. მოხსნილი ლუქის ნომერი/Number of the removed seal/Номер снятой пломбы \_\_\_\_\_
- 2.7. ახალი ლუქის ნომერი/Number of the new seal/Номер новой поставленной пломбы \_\_\_\_\_

**3. გადატვირთვის სერტიფიკატი/Certificate of transshipment /Свидетельство о перегрузке**

მე, ქვემოთ ხელის მომწერი სახელმწიფო/ოფიციალური ვეტერინარი ექიმი ვადასტურებ შემდეგს/  
 I, the undersigned state/official veterinarian, certify that/  
 Я, нижеподписавшийся государственный/официальный ветеринарный врач, настоящим удостоверяю следующее:

- 3.1. გადატვირთვა მოხდა ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციისათვის (OIE) სავალდებულო შეტყობინებას დაქვემდებარებულ ცხოველთა დაავადებებისგან ოფიციალურად თავისუფალ ტერიტორიაზე არანაკლებ 30 კმ რადიუსში/The transshipment was carried out on the territory officially free from the OIE notifiable animal diseases in no less than 30 km radius/Перегрузка проводилась на территории официально свободной от болезней животных, подлежащих обязательному уведомлению в МЕБ в радиусе не менее 30 км.
- 3.2. გადატვირთვა განხორციელდა ყოველგვარი დაყოვნების, შეფუთვის ნომრის შეცვლის, ტვირთის წონის, ტვირთის თუ შეფუთვის, გამგზავნის (მფლობელის) შეცვლის გარეშე, საქართველოში აღიარებული წესების შესაბამისად/ The transshipment was carried out without any kind of delay, change of package number, weight of goods, replacement of goods or package, change of consignee(owner), in accordance with rules approved in the Georgia/ Перегрузка осуществлялась без любых видов передержки груза, изменения количества упаковок, веса и замены продукции, переупаковки груза, изменения грузополучателя (владельца груза) с соблюдением условия при перегрузке принятых в Грузии.
- 3.3. ტრანსპორტი დამუშავდა და მომზადდა საქართველოში აღიარებული წესების შესაბამისად/The means of transport are treated and prepared in accordance with the rules approved in Georgia /Транспортные средства обработаны и подготовлены в соответствии с принятыми в Грузии правилами.

4. გადატვირთვის მიზეზი/Reason of the transshipment/Причина перегрузки \_\_\_\_\_

ადგილი/Place/Место

თარიღი/Date /Дата

ბეჭედი/Official stamp/Печать:

სახელმწიფო/ოფიციალური ვეტერინარის ხელმოწერა/Signature of the official veterinarian/  
Подпись государственного/официального ветеринарного врача

სახელი და თანამდებობა/Name and position/Ф.И.О. и должность  
დიდი ასოებით/in capital letters /заглавными буквами

ბეჭდისა და ხელმოწერის ფერი უნდა განსხვავდებოდეს ბლანკის ფერისაგან/  
Signature and stamp must be in a different colour to that in the printed certificate /  
Подпись и печать должны отличаться цветом от бланка.

წინამდებარე სერტიფიკატს აუცილებლად თან ერთვის 2.1. პუნქტში მითითებული ვეტერინარული სერტიფიკატის დამოწმებული ასლი/The approved copy of veterinary certificate, referred to in point 2.1, must be attached to this certificate/К сертификату обязательно прикладывается заверенная и подписанная государственным/официальным ветеринарным врачом копия сертификата, указанного в пункте 2.1.